ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პოლიტიკის მეცნიერება

საბა ფორჩხიძე

# აფხაზური ნაციონალიზმის გაძლიერების თავისებურებები 1990-იან წლებში

ნაშრომი შესრულებულია პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: სალომე დუნდუა

პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი,

ასოცირებული-პროფესორი

თბილისი

# ანოტაცია

აღნიშნული ნაშრომი იკვლევს, აფხაზური ნაციონალიზმის გაძლიერების თავისებურებებს 1990-იან წლებში. დასახელებული საკითხის აქტუალურობაზე მიუთითებს ის, რომ ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა დღემდე მოუგვარებელი რჩება საქართველოსთვის. შესაბამიასად, საკითხის უკეთ გასააზრებლად, გაანალიზდა შეთანხმებების პლატფორმები და გაფორმებული დოკუმენტაციები, ასევე, გამოიყო სხვადასხვა პოლიტიკური აქტორები და მათი როლი აფხაზური ნაციონალიზმის გაძლიერებაში. შეგვიძლია, დავასახელოთ რამდენიმე ძირითადი აქტორი: რუსეთი, რომელზეც ყველაზე დიდი წვლილი მოდის აფხაზური ნაციონალიზმის გაძლიერებაში, შემდგომში აფხაზეთი. კერძოდ, აფხაზური ნაციონალიზმით გაჟღენთილი ელიტა და საბოლოოდ, საქართველო, რომელიც  იცავდა ეროვნულ ინტერესებს. ვინაიდან და რადგანაც, ტერიტორიული მთლიანობის საკითხი კვლავ ქართული პოლიტიკის დღის წესრიგში დგას, აუცილებელია, აღნიშნული საკითხის გულდასმით შესწავლა და ანალიზი, რაც არსებული პრობლემის მოგვარებას უფრო გაამარტივებს.

# სარჩევი


შესავალი.....1

პირველი თავი .....5

ნაციონალიზმის თეორიული ასპექტები .....5

მეორე თავი .....11

ქართულ აფხაზური კონფლიქტი: აფხაზური ნაციონალიზმის გაძლიერება .....11

დასკვნა .....25

გამოყენებული ლიტერატურა .....27

დანართი.....28



ნაციონალიზმის თეორიული ასპექტები .....5

ქართული სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა: ქართულ-აფხაზური კონფლიქტი.....9



წინარე კონფლიქტური პერიოდი: ისტორიული ნარატივების დაპირისპირება; 1980-იანი წლების მიწურული და 1990-იანი წლების დასაწყისი. .....12

პოსტკონფლიქტური პერიოდი: მოლაპარაკებების პლატფორმები. .....17

მონაწილე მხარეების თვალით დანახული მოვლენები და პრობლემის მოგვარების პროექტები.....23

# შესავალი

**საკითხის აქტუალურობა**

წლიდან დღემდე, დამოუკიდებლად არსებობის ამ მოკლე პერიოდში, საქართველოს მოუხდა უამრავი გამოწვევის გადალახვა და საბოლოოდ, მტკიცედ აიღო გეზი დასავლური დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისკენ. ქვეყნის საგარეო კურსი მკაფიოდ არის განსაზღვრული ქვეყნის კონსტიტუციაში, რომელიც ამბობს: „კონსტიტუციურმა ორგანოებმა თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში მიიღონ ყველა ზომა ევროპის კავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად“

როდესაც ქვეყნისთვის არსებულ გამოწვევებს ვახსენებთ, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ საქართველოს უმთავრესი გამოწვევა - ტერიტორიული მთლიანობის საკითხი. საქართველოს ტერიტორიები რუსეთის მიერ არის ოკუპირებული. ყოველივე ამას კი, ემატება ოკუპირებულ ტერიტორიებში აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში სამაჩაბლო) გაღვიძებული ნაციონალიზმი. ნაციონალიზმის განმტკიცებას, სამხედრო კონფლიქტის გარდა, ხელი შეუწყო, რუსეთის მხრიდან 2008 წელს აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებამ. მაშასადამე, დღეს, საქართველომ ტერიტორიული მთლიანობის საკითხთან დაკავშირებით მიიღო ისეთი მოცემულობა, როდესაც ოკუპაციიდან უკვე გასულია სამი ათწლეული და ამასთან ერთად, ოკუპირებულ ტერიტორიებზე უკვე არის გაღვიძებული ნაციონალიზმი. ზემოხსენებული საკითხი, ცალსახად, აქტუალურია ქართულ რეალობაში, რადგან ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა კვლავ მოუგვარებელი რჩება. მოცემული პრობლემა კი, თავისთავად ხელს უშლის ქვეყნის სრულმასშტაბიან დასავლურ განვითარებას.

საკვლევი საკითხი, როგორც უკვე აღვნიშნე, დღემდე მოუგვარებელ პრობლემად რჩება ქართულ რეალობაში. პრობლემის გადასაჭრელად, აუცილებელია, რომ დადგინდეს პრობლემის გამომწვევი მიზეზები. სწორედ ამიტომ, კვლევის პროცესში, სავსებით რეალურია, რომ გამოიკვეთოს ის მიზეზები, რამაც მიგვიყვანა აფხაზური

ნაციონალიზმის გაძლიერებამდე, საბოლოოდ კი ტერიტორიული მთლიანობის პრობლემატურობამდე. მიზეზების დადგენასთან ერთად, შესაძლებელი ხდება პრობლემის გადაჭრის გზების გამოკვეთა, რაც ცალსახად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ქართული პოლიტიკისთვის.

აღნიშნული საკითხის მოუგვარებლობა, საფრთხის ქვეშ აყენებს, ქვეყნის სუვერენიტეტს და დამოუკიდებლობას. სწორედ ამიტომ, იმის ანალიზი, თუ რამ გამოიწვია აფხაზური ნაციონალიზმის განსაკუთრებული გაძლიერება 1990-იან წლებში, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ქართული პოლიტიკისთვის. აფხაზური ნაციონალიზმის გაძლიერების მიზეზების შესწავლის შედეგად, გაიმიჯნა სხვადასხვა პოლიტიკური აქტორები და პოლიტიკური ქმედებები, რამაც ხელი შეუწყო აღნიშნულ პროცესს.

**კვლევის მიზანი:**

- მოცემული კვლევა მიზნად ისახავს, იმ ფაქტორების შესწავლას, რამაც ხელი შეუწყო აფხაზური ნაციონალიზმის გაძლიერებას 1990-იან წლებში.

**კვლევის ამოცანები:**

- გაანალიზდეს 1990-იან წლებში გატარებული ქართული პოლიტიკა აფხაზეთის მიმართ.
- გაანალიზდეს 1990-იან წლებში გატარებული რუსული პოლიტიკა აფხაზეთის მიმართ.

**საკვლევი კითხვა:**

- რა ფაქტორებმა შეუწყვეს ხელი, აფხაზური ნაციონალიზმის გაძლიერებას, 1990-იანი წლების დასაწყისიდან?
- რა როლი ითამაშეს კონფლიქტში ჩართულმა აქტორებმა, 1990-იან წლებში აფხაზური ნაციონალიზმის გაძლიერებაში?

**ჰიპოთეზა:**

- აფხაზური ნაციონალიზმი გააძლიერა, როგორც ქვეყნის შიდა, ასევე, ქვეყნის გარე აქტორებმა: თავიანთი დესტრუქციული ქმედებებით - ომით და კომპრომისის ნაკლებობით.
- აფხაზური ნაციონალიზმის გაძლიერებას, განსაკუთრებულად, ხელი შეუწყო რუსულმა პოლიტიკამ.

ზემოთ აღნიშნული ვარაუდის გაკეთების საფუძველს გვაძლევს შემდეგი გარემოებები: საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, რუსული გავლენების შემცირებას, თავად რუსეთი რა თქმა უნდა, არ შეეგუებოდა. სწორედ ამიტომ, რუსულმა მხარემ, ჯერ საბჭოთა კავშირშივე შეუმზადა საფუძველი აფხაზური ნაციონალიზმის გაძლიერებას, ხოლო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, იმისათვის რათა არ დაეკარგა გავლენის არეალი, პროპაგანდითა და სამხედრო დახმარებით გააძლიერა აფხაზური ნაციონალიზმი. ქართული მხარის როლს რაც შეეხება, ქართული მხარის მხრიდან, აფხაზური ნაციონალიზმის წახალისება ისახება კომპრომისით გაჯერებული პოლიტიკის ნაკლებობით.

**თეორიული ჩარჩო**

მოცემული ნაშრომის საყრდენ თეორიას წარმოადგენს, ნაციონალური იდენტობის სმითისეული თეორია. სმითის მიხედვით, არსებობს ის ძირითადი ნიშან-თვისებები, რომლებიც დამახასიათებელი არის „ნაციონალური იდენტობისთვის“. სწორედ ამ ნიშან-თვისებების/ელემენტების, დაცვის შედეგად ხდება ნაციონალური იდენტობის ფორმირება საზოგადოებაში. აღნიშნული ელემენტებია: 1. ისტორიული ტერიტორია ანუ სამშობლო; 2. ერთიანი პოლიტიკური ნება და ისტორიული მეხსიერება; 3. საერთო საზოგადოებრივი კულტურა; 4. ყველა წევრისთვის საერთო სამართლებრივი უფლება-მოვალეობა; 5. საერთო ეკონომიკა მისი წევრებისთვის (სმიტი, 2008).

აფხაზური ნაციონალიზმის გაძლიერების ანალიზი, ნაციონალური იდენტობის სმითისეული თეორიის ფარგლებში გვაძლევს საშუალებას, რომ  დასმული საკითხი გავაანალიზოთ მრავალმხრივად და შევისწავლოთ, არა კონკრეტული ასპექტის როლი,

აფხაზური ნაციონალიზმის გაძლიერებაში, არამედ ამომწურავად, სხვადასხვა კომპონენტზე დაყრდნობით, სისტემატიზებულად და სრულად შევისწავლოთ ის.

მოცემული ნაშრომის საკვლევ საკითხს წარმოადგენს, აფხაზური ნაციონალიზმის გაძლიერება. ენტონი სმითის მიერ გამოყოფილი ნაციონალური იდენტობის ელემენტების დახმარებით, კარგად გამოჩნდა სხვადასხვა კომპონენტის როლი, რომლებმაც ხელი შეუწყვეს აფხაზური ნაციონალიზმის გაძლიერებას. 1990-იან წლებში, თითოეული პოლიტიკური ქმედება, რომელიც გადადგმული იქნა სამი აქტორის: საქართველოს, აფხაზეთისა და რუსეთის მხრიდან, საბოლოოდ, პირდაპირ გაანალიზდა დასახელებულ ელემენტებთან მიმართებით და დამყარდა მიზეზ-შედეგობრივი კავშირი.

**კვლევის მეთოდოლოგია:**

კვლევის კითხვაზე პასუხის გასაცემად, გამოვიყენე კვლევის თვისებრივი მეთოდი. კერძოდ: სიღრმისეული ინტერვიუ და შინაარსობრივი ანალიზი - ისეთი დოკუმენტების ანალიზი როგორიცაა: 1991 წლის საარჩევნო კანონი; 1994 წლის შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ; 1997 წლის წარუმატებელი მოლაპარაკება ქართულ და აფხაზურ მხარეს შორის და სხვა მოლაპარაკების მცდელობები. ისტორიული წინაპირობების, კონფლიქტის მიმდინარეობისა და კონფლიქტის შემდგომი პერიოდის შესწავლა დამეხმარა, აქტორებისა და მათი წამახალისებელი ქმედებების გამიჯვნაში. ასევე, აფხაზეთის 1994 წლისა და საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციების უშუალო ანალიზით ნათელი გახდა, ის თუ როგორ უყურებდა საქართველო აფხაზეთის საკითხს და პირიქით. ქართული მხარის ქმედებების შესწავლასთან ერთად, გაანალიზდა რუსული დოკუმენტაცია და რუსული მხარის ქმედებები, რათა განსაზღვრულიყო მათი როლი მოცემულ საკითხში. დამატებით, გავაანალიზე დოკუმენტური ფილმი - „აფხაზური გასეირნება“. აღნიშნულ ფილმში, კონფლიქტის დროს და მოლაპარაკებებში ჩართული, ადამიანები საუბრობენ აფხაზეთზე და აზიარებენ თავიანთ გამოცდილებას. სიღრმისეულმა ინტერვიუმ ზურაბ პაპასკირთან, დარგის ექსპერტთან და მოლაპარაკებებში ჩართულ პირთან, ნათლად დამანახა რამდენად კომპრომისული იყო ქართული პოლიტიკა 1990-იან წლებში.

# პირველი თავი

# ნაციონალიზმის თეორიული ასპექტები

## ნაციონალიზმის თეორიული ასპექტები

საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, თავდაპირველად, მნიშვნელოვანია განისაზღვროს ის, თუ რა არის ნაციონალიზმი? როგორია მისი, როგორც იდეოლოგიის დეფინიცია და რისგან შედგება იგი. ნაციონალიზმის განმარტებაში გვეხმარება, ენდრიუ ჰეივუდის წიგნი პოლიტიკური იდეოლოგიების შესახებ. აღნიშნული წიგნის მიხედვით, ნაციონალიზმი არის ისეთი პოლიტიკური დოქტრინა, რომელიც ფოკუსირებულია ერებზე. ნაციონალიზმის შემადგენელი უმნიშვნელოვანესი კომპონენტებია: 1. ერი - ერის კონცეფცია ეფუძნება სხვადასხვა ელემენტებს. ესენია: ენა; კულტურა; ისტორია; ტრადიცია; ეთნიკური ერთობა; 2. საზოგადოება, როგორც ორგანული ერთობა - ერები განიხილება, როგორც საზოგადოების ორგანული ერთობა; 3. თვითგამორკვევა - მოცემული ასპექტი გულისხმობს ისეთ უფლებას, როდესაც ერი თავად განსაზღვრავს პოლიტიკურ კურსს, მარტივად რომ ვთქვათ, ერი ხდება პოლიტიკური გაერთიანება და უზენაესი ძალაუფლება ეკუთვნის ხალხს; 4. თვითიდენტიფიკაციის პოლიტიკა - მოცემულ ასპექტში იგულისხმება, პირდაპირ თვითიდენტიფიკაცია, თვითგამორკვევა. ნაციონალიზმი, პირდაპირ ასწავლის ადამიანს, თუ ვინ არის იგი? როგორია მისი ისტორია? და ხელს უწყობს კოლექტიური სულისკვეთების ჩამოყალიბებას (ჰეივუდი,

ნაციონალიზმის შესწავლისას, შეგვიძლია გამოვყოთ 3 ძირითადი თეორიული მიმართულება: პრიმორდიალისტური, მოდერნისტული და ეთნოსიმბოლისტური. პრიმორდიალისტური მიდგომის მიხედვით, სამყაროს შექმნის დღიდან არსებობს ერები, და თავად ნაციონალიზმი. პრიმორდიალიზმი, თავისთავად, დაიყვანება იმ ემოციებამდე და შეგრძნებებამდე, რომლებიც ადამიანს საკუთარი ქვეყნის მიმართ გააჩნია დაბადებიდანვე.მოდერნისტული მიდგომის მიხედვით, ნაციონალიზმი არის მოდერნიზაციის შედეგი, კერძოდ, ინდუსტრიალიზაციისა და დემოკრატიზაციის.

ამდენად მოცემული მიდგომა, უარყოფს იმას, რომ ერები და ნაციონალიზმი ძველი „პროდუქტია“. პირიქით, მოდერნისტები ერებსა და ნაციონალიზმს ახალ მოვლენად მიიჩნევენ. რაც შეეხება ეთნოსიმბოლისტურ მიდგომას, მოცემული მიდგომის წარმომადგენლები, ერისა და ნაციონალიზმის ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს ანიჭებენ მითებს, სიმბოლოებს, ღირებულებებსა და ტრადიციებს.

ნაციონალიზმით დაინტერესება, საკმაოდ დიდია სამეცნიერო ლიტერატურაში. სწორედ, ზემოხსენებულის შედეგია მრავალი თეორია, რომელიც უკავშირდება ერისა და ნაციონალიზმის წარმოშობას. მაგალითისთვის: ერნესტ გელნერი, გამოყოფს ერის ძირითად მახასიათებლებს - საერთო კულტურა, ენა, ტერიტორია, თანაგრძნობა. თუმცა, ის ერს განიხილავს, მხოლოდ და მხოლოდ, როგორც დემოკრატიისა და ინდუსტრიალიზაციის შედეგს. სწორედ ამგვარი, მკაფიო მოდერნისტული მიდგომის გამო, მოცემული თეორია ვერ ახსნის ნაშრომში განხილულ საკითხს, რადგან აფხაზური ნაციონალიზმის წარმოშობა, თავად აფხაზებისთვის არ არის დაკავშირებული ინდუსტრიალიზაციასთან ან მოდერნიზაციასთან. მათთვის ეს საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია, რომელიც მიმდინარეობდა უწყვეტად, საკმაოდ დიდი დროის განმავლობაში გელნერი, 2003).

არანაკლებ საყურადღებოა ბენედიქტ ანდერსონის ნაშრომი „წარმოსახვით საზოგადოებებზე“. აღნიშნული ნაშრომიდან შეგვიძლია რამდენიმე დასკვნის გაკეთება: ისტორიაზე დაყრდნობით. ერის წარმოსახვითობა კი, განპირობებულია იმით, რომ ერის წევრი შეუძლებელია, რომ იცნობდეს საკუთარი ერის ყველა წევრს; 2. ნაციონალიზმის ფორმირებაში დიდი როლი ითამაშა კოლონიალიზმმა; 3. ნაციონალიზმი მხოლოდ ერს არ ეკუთვნის, ის შეიძლება გაჩნდეს ეთნიკურ ჯგუფშიც. ნაციონალიზმის გაჩენა კი, ასოცირებულია ისეთ პოლიტიკურ ელიტასთან, რომელსაც ამოძრავებს ნაციონალისტური ელიტები. ვინაიდან, ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში კოლონიალიზმი არ ისახება, მოცემული თეორიის მორგება ნაშრომის მთავარ თემაზე, გარკვეულ პრობლემას წარმოადგენს. შესაბამისად, აფხაზური ნაციონალიზმის გაძლიერების მიზეზი, ნამდვილად ვერ იქნებოდა ქართული კოლონიალიზმი

ჰანს კონი ნაციონალიზმს ემოციებს უკავშირებს კონი თავის ნაშრომში აღნიშნავს, რომ ნაციონალიზმი არის ადამიანური შეგრძნებების - სოციალიზაციისა და მიკუთვნებულობის გრძნობის გამოხატულება, რომელიც გამოირჩევა დიდი ისტორიით. შესაბამისად, კონს ნაციონალიზმი არ მიაჩნია მოდერნიზაციის შედეგად. ის მის წარმოშობას უკავშირებს ისტორიასა და კულტურას. კონი, ასევე, ერთ-ერთი პირველი ავტორია, რომელმაც ერთმანეთისგან განასხვავა ეთნიკური ნაციონალიზმი და სამოქალაქო ნაციონალიზმი. სწორედ ამიტომ, მას მიაჩნდა, რომ ნაციონალიზმი არსებობს მაშინაც კი, როდესაც არ არსებობს პოლიტიკური ერთობა. კიდევ ერთი სახასიათო ასპექტი, კონისეულ მიდგომაში არის შემდეგი: ის ნაციონალიზმს, მხოლოდ ევროპულ მოვლენად არ განიხილავს და, სწორედ ამიტომ, ეძებს სხვაობებს დასავლურ და არადასავლურ ნაციონალიზმს შორის (ჩხაიძე, 2016). ნაშრომში დასმული საკითხის ახსნა, მოცემული თეორიით არის რთული, რადგან კონის მიხედვით, ნაციონალიზმის არსებობისთვის, პოლიტიკური ერთობა გადამწყვეტ როლს არ თამაშობს. ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში განვითარებულ მოვლენებს თუ დავაკვირდებით, აფხაზეთში პოლიტიკური ერთობის არსებობამ, სწორედ რომ, გადამწყვეტი როლი შეასრულა აფხაზური ნაციონალიზმის გაძლიერებაში.

დასმულ საკითხს ეხმიანება, საგარეო კონფლიქტების თეორია, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფოს წარმოშობასთან.აღნიშნული თოერიის მიხედვით, სხვადასხვა ხალხებს გაერთიანებისკენ უბიძგებს დაპყრობითი ომი - გარედან მომავალი გაქრობის საფრთხე (ლეველენი, 2017). შესაბამისად, საინტერესოა, თუ რამდენად შეესაბამება მოცემული თეორია კონკრეტულ ქეისს? ქართული მხარე, აღქმული, როგორც საგარეო საფრთხე, რამდენად უზრუნველყოფს დამოუკიდებლად გააძლიეროს აფხაზური ნაციონალიზმი? მოცემულ შეკითხვაზე პასუხი მეტ-ნაკლებად დადებითია, რადგან არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში, აფხაზებისთვის საქართველო, როგორც დამპყრობელი ისე იყო წარმოჩენილი, ყოველივე ამას კი, ნიადაგი საბჭოთა პოლიტიკამ შეუმზადა.

საბოლოოდ, მსურს შევეხო ენტონი სმითისეულ თეორიას, ნაციონალური იდენტობის შემადგენელი ელემენტების შესახებ. პირველ რიგში, უმჯობესია განიმარტოს, თურას გულისხმობს სმიტი მის მიერ გამოყოფილ ელემენტებში. მოცემული

ელემენტებია: 1. ისტორიული ტერიტორია ანუ სამშობლო - მოცემული ელემენტის თანახმად, ნაციის განკარგულებაში უნდა იყოს კონკრეტული ტერიტორია. ამასთან ერთად, ხალხი და ტერიტორია უნდა ეკუთვნოდეს ერთმანეთს. ტერიტორია აღქმული უნდა იყოს, როგორც სამშობლო - ისტორიული „მიწა-წყალი“, რომელთან მიმართებაშიც ნაცია ახდენს იდენტიფიცირებას; 2. ერთიანი პოლიტიკური ნება და ისტორიული მეხსიერება - მოცემული ელემენტის მიხედვით, ხალხთა ერთობას - ნაციას, უნდა გააჩნდეს ერთიანი პოლიტიკური ნება, რისი შედეგიც საბოლოოდ არის ზოგადმარეგულირებელი ინსტიტუციების წარმოქმნა; 3. საერთო საზოგადოებრივი კულტურა - მოცემული ელემენტის მიხედვით, საერთო სახალხო მას-კულტურა მნიშვნელოვანი ნაწილი,რადგან ის ერთმანეთთან აკავშირებს საერთო ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანებს. მის ფორმირებაში დიდი როლი მიუძღვის საყოველთაო განათლების სისტემასა და მასმედიას; 4. ყველა წევრისათვის საერთო სამართლებრივი უფლება-მოვალეობა - მოცემული ელემენტის ფორმირება დამოკიდებულია, ხალხთა ერთობაში სამართლებრივი და პოლიტიკური ცნობიერების ზრდაზე.ზემოაღნიშნული ზრდის შედეგია მოქალაქის კონცეფცია - სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები და ვალდებულებები, ამასთან ერთად კი, ნაციის ყველა წევრის კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი; 5. საერთო ეკონომიკა მისი წევრებისთვის - აქ იგულისხმება საერთო ეკონომიკური სისტემა, რათა არ მოხდეს ნაციის წევრების დიფერენციაცია და ერთობის რღვევა (სმიტი, 2008). ენტონი სმითის თეორია, ყველაზე კარგად ხსნის დასმულ საკითხს, რადგან როგორც საკვლევ პერიოდში გამოიკვეთა, აფხაზეთში მოხდა თითოეული ელემენტის გაძლიერება, რასაც ხელი შეუწყო სხვადასხვა აქტორების მხრიდან გატარებულმა პოლიტიკამ. ამდენად, მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, აქტორებსა და აფხაზური ნაციონალიზმის გაძლიერებაში ნათლად იკვეთება, რადგან პოლიტიკური აქტორების ცალკეული ქმედებები, როგორც აღვნიშნეთ, აძლიერებდნენ სმითის მიერ გამოყოფილი ნაციონალური იდენტობის თითოეულ შემადგენელ ელემენტს.

## ქართული სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა: ქართულ-აფხაზური კონფლიქტი

ქართულ-აფხაზური კონფლიქტი და აფხაზური ნაციონალიზმი, ქართულ აკადემიურ სივრცეში წარმოადგენს მნიშვნელოვან და აქტუალურ საკვლევ საკითხს. ზემოხსენებული განპირობებულია იმით, რომ ქართულ-აფხაზური კონფლიქტი დღემდე მოუგვარებელ პრობლემად რჩება საქართველოსთვის, რაც თავისთავად ვნებს ქვეყნის სუვერენიტეტს და დამოუკიდებლობას. ამასთან ერთად, დროთა განმავლობაში, იზრდება „უფსკრული“ ქართულ და აფხაზურ საზოგადოებებს შორის, რასაც საბოლოოდ, გაუცხოებამდე მივყავართ. ზემოხსენებული საკითხების თავიდან ასარიდებლად, ქართულ აკადემიურ სივრცეში იქმნება სხვადასხვა სახის ლიტერატურა აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით.

პირველი ნაშრომი, რომელიც მსურს გამოვყო, ეკუთვნის ზურაბ პაპასქირს. ნაშრომში, „МОЯ АБХАЗИЯ“ ავტორი საუბრობს თავის მოგონებებზე. იგი, მოქალაქის დანახული თვალით წარმოაჩენს აფხაზეთს და მასთან დაკავშირებულ მოვლენებს. ამასთან ერთად, ნაშრომში დიდი ადგილი ეთმობა აფხაზური კულტურის, აფხაზეთის ისტორიის, 1990-იანების კონფლიქტის, მასში ჩართული აქტორების (განსაკუთრებით გამოყოფილია რუსეთის როლი) და კონფლიქტთან დაკავშირებული სხვადასხვა პოზიციების შესწავლას. ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ნაშრომი არ წარმოადგენს მოვლენებს ცალმხრივად და აქტიურად ემსახურება, ქართულ-აფხაზური „უფსკრულის“ ამოვსებას, ორი საზოგადოების დაახლოების გზით (Папаскири, 2012). შემდეგი განსახილველი ნაშრომი ეკუთვნის ავტორთა კოლექტივს: ზურაბ ხონელიძე, ლია ახალაძე, ჯემალ გამახარია, ბეჟან ხორავა, კახა კვაშილავა, კახაბერ ყალიჩავა და ზურაბ პაპასქირს. ნაშრომში „აფხაზეთი საქართველოა“, ასევე, ვხვდებით მნიშვნელოვან ინფორმაციას აფხაზეთის ისტორიისა  და ქართულ-აფხაზური ურთიერთობების შესახებ. ამასთან ერთად, ყურადღება გამახვილებულია უშუალოდ კონფლიქტზე და წინარე/პოსტკონფლიქტურ პერიოდებზე - ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებზე და დიალოგზე (პაპასკირი & კოლექტივი, 2021).

საკვლევ საკითხთან კავშირში მყოფი შემდეგი ნაშრომი ისტორიულ მიმოხილვასთან ერთად უმეტესწილად განამერტებით  ფუნქციასაც ატარებს. ის ეკუთვნის დავით მაცაბერიძეს -

„კონფლიქტი აფხაზეთის რეგიონში: ქართული და აფხაზური ნაციონალიზმების დაპირისპირება ავტორი ცდილობს  ახსნას, ინსტიტუციონალიზმის ფარგლებში  პრობლემის გამომწვევი მიზეზები და ამ პრობლემასთან დაკავშირებული მიმდინარე პროცესები. დასახელებული ნაშრომიდან უნდა გამოიყოს კონფლიქტის მოგვარების სხვადასხვა გზები: აფხაზური პროექტი, თბილისის პროექტი და ბოდენის პროექტი. (მაცაბერიძე დ. 2014)

აგრეთვე, ამხსნელობით ხასიათს ატარებს ქეთევან ეფაძის ნაშრომი „ქართული და აფხაზური იდენტობების ფორმირება სტალინურ და პოსტ-სტალინურ საქართველოში (1950-იანი წლები)“.მოცემულ ნაშრომში, ფოკუსი ძირითადად გაკეთებულია 1950-1970-იან წლებზე. ავტორი, დასახელებულ პერიოდში,  კონსტრუქტივისტული მიდგომის ფარგლებში შეისწავლის, ქართული და აფხაზური კონფლიქტური იდენტობების ფორმირების მიზეზებს. ნაშრომიდან უნდა გამოვყოთ კორენიზაციის პროცესი, ასევე, უშუალოდ დაპირისპირება წარსულთან დაკავშირებით. კერძოდ, ქართულ-აფხაზური ისტორიული ნარატივების დაპირისპირება 1960-იან და 1970-იან წლებში. ყოველივე ზემოხსენებულის განზოგადებით, შეგვიძლია დავინახოთ საბჭოთა კავშირის როლი აფხაზური ნაციონალიზმის გაძლიერებაში (ეფაძე, 2022).

საბოლოოდ, უნდა მიმოვიხილოთ ნაშრომი, რომელიც პირდაპირ ეხმიანება ჩვენს მიერ დასმულ საკითხს - „The Georgia-Abkhazia peace process”. აღნიშნულ ნაშრომში თავმოყრილია რამდენიმე მნიშვნელოვანი სტატია, რომელიც ქართულ-აფხაზურ კონფლიქტს განიხილავს როგორც ქართული, ისე აფხაზური მხარის გადმოსახედიდან. ამასთან ერთად, ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია რუსეთის როლზეც. ნაშრომის ძლიერი მხარეა, არა მხოლოდ მრავალმხრივობა, არამედ კონფლიქტის წარმოჩენის სახეც.ვინაიდან, აქ, კარგად იკვეთება ის მძიმე შედეგები, რომლებიც განიცადა როგორც ქართულმა, ისე აფხაზურმა საზოგადოებამ. ყოველივე ამასთან ერთად, ნაშრომი ნათლად წარმოაჩენს კონფლიქტის დინამიკას, კონფლიქტის გამომწვევ შიდა/გარე ფაქტორებს და მოვლენების განვითარების სამომავლო შესაძლო სცენარებს

# მეორე თავი

## ქართულ აფხაზური კონფლიქტი: აფხაზური ნაციონალიზმის

## გ

აფხაზური ნაციონალიზმის გაძლიერების კვლევა წარმოადგენს საკმაოდ ფართო საკითხს. სწორედ ამ საკითხის გამო მივიღეთ აფხაზურ-ქართული კონფლიქტი, რომელიც დღემდე მოუგვარებელ საკითხად რჩება ქართულ პოლიტიკურ რეალობაში. აფხაზური ნაციონალიზმის აქტიური გამოვლინება სამხედრო კონფლიქტი იყო.ამასთან ერთად, სამხედრო კონფლიქტმა, ასევე, უდიდესი როლი ითამაშა აფხაზური ნაციონალიზმის გაძლიერებაში. საინტერესოა, თუ რა ხდებოდა კონფლიქტამდე პერიოდში აფხაზეთში და დაპირისპირებულ მხარეებს შორის, როგორ წარიმართა მოლაპარაკებების პროცესები პოსტკონფლიქტურ პერიოდში. აღსანიშნავია, რომ აფხაზური ნაციონალიზმის ფორმირებას აქვს საკმაოდ დიდი ისტორია და ის ჯერ კიდევ მეფის რუსეთიდან იწყება. მეცხრამეტე საუკუნიდან, საქართველო უკვე რუსეთის ინტერესს წარმოადგენდა. სწორედ ამიტომ, მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში, რუსეთი არ იშურებდა ძალებს საქართველოს ტერიტორიების მისი გავლენის სფეროში მოსახვედრად და ამ პერიოდში ის, აფხაზეთზე, როგორც საქართველოს განუყოფელ ნაწილზე ისე აპელირებდა. მას შემდეგ, რაც რუსეთმა, სრულად საქართველოზე განიმტკიცა ძალაუფლება, იკვეთება რუსეთის, როგორც პოლიტიკური აქტორის როლი აფხაზური ნაციონალიზმის გაძლიერებაში. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან პირველი ნაბიჯები გადაიდგა ზემოხსენებული მიმართულებით. კერძოდ: თბილისის და ქუთაისის გუბერნიების შექმნა ემსახურებოდა საქართველოში ერთიანობის შეგრძნების მოშლას, ასევე, საქართველოსა და ქართული მენტალობის შესასუსტებლად, რუსეთმა დაიწყო რეგიონებში ნაციონალიზმის გაძლიერება, განსაკუთრებით, ისეთ რეგიონებში, რომლებსაც თავიანთი ენა ჰქონდათ. აღნიშნული პოლიტიკის შედეგი იყო აფხაზური ანბანის შექმნა კირილიცაზე დაყრდნობით. ამ ქმედებით მოხდა აფხაზურის რუსულთან დაახლოება და რუსულ ყაიდაზე გადასვლა. ყოველივე ამას ემატებოდა რუსული განათლების სისტემა (პირისპირ ინტერვიუ 31.05.2023). ამდენად რუსეთი, როგორც პოლიტიკური აქტორი აფხაზური ნაციონალიზმის გაძლიერებაში შემოდის მე-19

საუკუნის მეორე ნახევრიდან. იგი სწორედ ამ პერიოდიდან ცდილობს აფხაზური კულტურის ქართული კულტურისგან განყენებულად და დამოუკიდებლად გამოყოფას, სწორედ აქედან ჩნდება აფხაზური ნაციონალიზმის ჩანასახები. აღნიშნული პერიოდი, აფხაზური ნაციონალიზმის გაძლიერების პროცესის დასაწყისია. შემდგომში  უფრო მეტად გამძაფრებულია ეს პროცესები საბჭოთა კავშირის და მისი დაშლის პერიოდში, რითიც მკაფიოდ იკვეთება, რუსული პოლიტიკის ხანგრძლივი და მნიშვნელოვანი როლი დასმულ საკითხში. სწორედ ამიტომ, საჭირო გახდა წინარე კონფლიქტური პერიოდის შესწავლაც, რათა ზუსტად მომეხდინა, აფხაზური ნაციონალიზმის გაძლიერების თავისებურებების იდენტიფიცირება.

## წინარე კონფლიქტური პერიოდი: ისტორიული ნარატივების დაპირისპირება; 1980-იანი წლების მიწურული და 1990-იანი წლების დასაწყისი.

იანი წლების მიწურულს და 1990-იანი წლების დასაწყისში, ქართულ-აფხაზური ურთიერთობები მკვეთრად დაძაბული იყო, რასაც საბოლოოდ, საფუძველი შეუმზადა საბჭოთა კავშირის დროს გატარებულმა პოლიტიკამ და 1960-იან 1970-იან წლებში ისტორიული ნარატივების დაპირისპირებამ. 1958 წელს, საქართველოში გამოცემულმა ისტორიის სახელმძღვანელომ, აფხაზური აკადემიური წრიდან დაიმსახურა კრიტიკა, იმის თაობაზე, რომ წიგნში ადრეული და შუა საუკუნეების აფხაზთა ისტორია არ იყო ასახული. საბოლოოდ, 1961 წელს დაიბეჭდა სახელმძღვანელოს განახლებული ვარიანტი, სადაც მნიშვნელოვნად იყო შემცირებული ინფორმაცია საქართველოზე და გამოვლინდა აფხაზეთის ცალკე განყენების ტენდენციები. მაგალითად: განახლებულ ვარიანტში, ქართულ ტომებად განხილულია: ქართები, მეგრელები, სვანები და დაკარგული არის ურთიერთობები აფხაზურ ტომებთან. ასევე, გამქრალი არის ისეთი მნიშვნელოვანი თავები, რომლებიც ეხებოდა ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნას და აფხაზების ყოფნას ერთიან ქართულ სახელმწიფოში (ეფაძე, 2022). 1970-იან წლებში, ნარატივების დაპირისპირება კიდევ უფრო გამწვავდა, რასაც საფუძველი დაუდო შალვა ინალ-იფას მიერ, 1965 წელს გამოქვეყნებული ნაშრომი. ნაშრომი ფოკუსირებული იყო იმაზე, რომ ეჩვენებინა აფხაზების ეთნოსად ჩამოყალიბების პროცესი მთელი ისტორიის განმავლობაში. ინალ-იფას ნაშრომმა ქართული სამეცნიერო წრიდან დაიმსახურა კრიტიკა. 1970-იან წლებში აფხაზეთის ცალკე განყენების ტენდენციები უფრო

გამძაფრებულია, რაზეც მეტყველებს 1976 წელს გამოცემული ზურაბ ანჩაბაძის წიგნი. ავტორი მოცემულ სახელმძღვანელოში აღარ განიხილავს აფხაზურ ისტორიას ქართულ ისტორიასთან ერთად და მას წარმოადგენს, როგორც დამოუკიდებლად განვითარებად სუბიექტს (ეფაძე, 2022). ამდენად, აფხაზური ელიტის და აკადემიური წრეების დახმარებით, მოხდა ისეთი კომპონენტების გაძლიერება, როგორიცაა: 1. ისტორიული ტერიტორია ანუ სამშობლო; 2. ერთიანი პოლიტიკური ნება და ისტორიული მეხსიერება; საერთო საზოგადოებრივი კულტურა.

ზემოხსენებული აკადემიური დაპირისპირება კიდევ უფრო გამძაფრდა 1980-იან წლებში და დატოვა აკადემიური სივრცე. დაპირისპირების გამძაფრებასა და გაფართოებას, ხელი შეუწყო საბჭოთა კავშირში დესტაბილიზაციის პერიოდმა - ხელმძღვანელობის სწრაფი ცვლა და საბოლოოდ, „პერესტროიკის“ დაწყება. 1980-იანი წლების, პირველ „შეტაკების“ წერტილად შეგვიძლია გამოვყოთ 1984 წელს, აფხაზების მხრიდან მოსკოვში გაგზავნილი მიმართვა. მიმართვაში ავტორები, კიდევ ერთხელ ახსენებდნენ ხელმძღვანელობას „დანაშაულებს“, რომელსაც ქართული მხარე სჩადიოდა მათ წინააღმდეგ. შესავალში ვახსენეთ „პერესტროიკის“ პერიოდი, რის შედეგადაც, საბჭოთა კავშირში შემსუბუქდა არსებული მკაცრი სისტემა და საბოლოოდ, ცალკეულ რესპუბლიკებში გაჩნდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობები. გამონაკლისი არც საქართველო იყო. საქართველოში პირველ ასეთ გაერთიანებას დაერქვა „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“. საქართველოში გააქტიურებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მუხტი, მოედო საქართველოს რეგიონებსაც და, მათ შორის, აფხაზეთსაც. ეთნიკურად ქართული მოსახლეობის გააქტიურებამ და პოლიტიკური ცხოვრებით დაინტერესებამ, ერთგვარად შეაშინა სეპარატისტები და ამასთან ერთად, გააბრაზა მოსკოვი (პაპასკირი & კოლექტივი, 2021). ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საპასუხოდ, მოსკოვის მხარდაჭერით, აფხაზეთში „აიდგილარა“. აღსანიშნავია, რომ „აიდგილარა“ არ მალავდა თავის სიმპათიებს მოსკოვის მიმართ და გაცხადებულად გამოხატავდა მის მხარდაჭერას. შემდეგი მნიშვნელოვანი თარიღი, როდესაც ღიად გამძაფრდა ქართულ-აფხაზური ურთიერთობები არის 1989 წელი. 1989 წელს უკავშირდება ორი მნიშვნელოვანი მოვლენა: 1. საბჭოთა კავშირის

ინიციატივით შეიქმნა „კავკასიის ხალხთა კონფედერაცია“. აფხაზეთი საქართველოსგან განყენებულად გამოცხადდა მის წევრად, ხოლო სოხუმი - დედაქალაქად. ამდენად, აქ უკვე კიდევ ერთხელ იკვეთება საბჭოთა კავშირის, უფრო კონკრეტულად კი, რუსეთის როლი აფხაზური ნაციონალიზმის გაძლიერებაში; 2. 1989 წლის მარტში, სოფელ ლიხნში, გაიმართა მრავალათასიანი აფხაზური ყრილობა, რომელსაც სრულად დაესწრო აფხაზური ხელმძღვანელობა. ლიხნის თავყრილობაზე მიიღეს ახალი დოკუმენტები, რომელთა ადრესატი გახლდათ მოსკოვი. შინაარსობრივად დოკუმენტები კვლავ საქართველოს ბრალდებით ხასიათს ატარებდა. სეპარატისტები აფხაზეთის ყველანაირ უბედურებაში ქართველებს ადანაშაულებდნენ. ლიხნის თავყრილობამ, პოლიტიკურად პასიური და ახლახან გააქტიურებული ქართული მოსახლეობა კიდევ უფრო გააააქტიურა.თავყრილობის საპასუხოდ, ეთნიკურად ქართულმა მოსახლეობამ, აფხაზეთში დაიწყო საყოველთაო პროტესტი. მრავალათასიანი მიტინგი გაიმართა გალში და საპროტესტო მუხტი მოედო აფხაზეთის სხვა რეგიონებსაც. აფხაზურმა ელიტამ, საპასუხოდ, მორიგი ბრალდებების დოკუმენტები გაგზავნა მოსკოვში. 1990 წელს, დაპირისპირება კიდევ უფრო გაამძაფრა სტანისლავ ლაკობას მიერ გამოცემულმა წიგნმა, სადაც ავტორი განყენებულად ცალკე აყალიბებდა აფხაზეთის ისტორიას და აფხაზეთის განცდილ უბედურებებში ქართველებს ადანაშაულებდა (პაპასკირი & კოლექტივი, 2021).

საყურადღებო თარიღი აფხაზურ-ქართულ ურთიერთობებში არის 1991 წლის 9 ივლისი. ამ დღეს აფხაზეთმა მიიღო ახალი საარჩევნო კანონი და სწორედ ამ საარჩევნო კანონზე თანხმობით, ქართული მხარე, შეთანხმების მისაღწევად წავიდა უმნიშვნელოვანეს დათმობაზე.კერძოდ, აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში, უმრავლესობა დაეთმო უმცირესობას - აფხაზებს. იმ პერიოდისთვის, ეთნიკურად ქართველები შეადგენდნენ მოსახლეობის უმრავლესობას და მათ წილად ხვდათ 26 ადგილი. ხოლო აფხაზები, რომლებიც მოსახლეობის 17% პროცენტს შეადგენდნენ წარმოდგენილი იყვნენ ქართველთან მიმართებაში, რადგან საარჩევნო კანონის მიხედვით გამოდიოდა, რომ ეთნიკურად აფხაზი პირდაპირ „მეტი“ იყო ეთნიკურად ქართველზე, რაც თავისთავად კიდევ უფრო აღვივებდა ეთნონაციონალიზმს. საარჩევნო კანონის მიღების გამო, ზვიად გამსახურდიამ მწვავე კრიტიკა დაიმსახურა. მისი ქმედება შეფასებულია, როგორც

ქართული პოლიტიკის შეცდომა (პირისპირ ინტერვიუ 31.05.2023). გამსახურდიაზე და ქართული პოლიტიკის შეცდომებზე საუბრისას, აუცილებლად უნდა გავიხსენოთ, ზვიად გამსახურდიას მიერ წარმოთქმული სიტყვები: „აფხაზი ერი ისტორიულად არასოდეს არ არსებობდა, აფხაზეთი იყო სახელწოდება დასავლეთ საქართველოსი და აფხაზები იყვნენ დასავლეთ ქართველები“ (ჩაგელიშვილი, 2002). გამსახურდიამ აღნიშნული განცხადება გააკეთა მაშინ, როდესაც აფხაზური ელიტა უკვე აქტიურად მუშაობდა აფხაზეთის საქართველოდან გამოყოფის საკითხზე. სწორედ აქ იკვეთება კიდევ ერთი შეცდომა, ასეთმა მოწოდებებმა ქვეყნის პირველი პირისგან, არათუ შეამსუბუქა არსებული დაპირისპირება, არამედ პირიქით, გაამწვავა ის, რადგან აფხაზები მკაფიოდ აპელირებდნენ ერის თვითგამორკვევის უფლებაზე, გამსახურდიამ კი, მათი როგორც ერის არსებობას უხეშად გადაუსვა ხაზი, რამაც საბოლოოდ, აფხაზეთში უფრო გაამძაფრა ანტიქართული დამოკიდებულებები. სწორედ ამიტომ, უკვე აქედან საქართველოს, როგორც აქტორის, როლი აფხაზური ნაციონალიზმის გაძლიერებაში იმატებს. 1991 წლის მიწურულიდან 1992 წლის პირველ ნახევრამდე, აფხაზეთის უმაღლესი საბჭო იღებს მთელ რიგ ანტიკონსტიტუციურ დადგენილებებს და ქმნის ანტიკონსტიტუციურ „აფხაზურ გვარდიას“. იმავე წელს, საქართველომ, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებები უკანონოდ გამოაცხადა.

აღნიშნულ პერიოდში, ქართულ-აფხაზური ურთიერთობები, კიდევ უფრო გაამძაფრა ზვიად გამსახურდიას რეჟიმის ძალადობრივი გზით დამხობამ. ქვეყნის მართვა გადაიბარა გადატრიალების ორგანიზატორმა სამხედრო საბჭომ. სამხედრო საბჭომ აღადგინა 1921 წელს მიღებული კონსტიტუცია და დამხობილ ხელისუფლებას ბრალი დასდო, საბჭოთა მემკვიდრეობის გაგრძელებაში (მაცაბერიძე დ. , 2014). რეჟიმის ძალადობრივი გზით ცვლილებას მოჰყვა შიდა არეულობა და დაპირისპირება, დამხობილ და ახლადმოსული ხელისუფლებების მხარდამჭერებს შორის. ამდენად, საქართველოში დაიწყო მწვავე არეულობისა და დესტაბილიზაციის პერიოდი. არეულობის და დესტაბილიზაციის პროცესმა, თვითნებურად, გამოიწვია აფხაზური მხარის რეაქცია. კერძოდ, აფხაზეთში მოიწვიეს ადგილობრივი უზენაესი საბჭოს სპეციალური სხდომა, სადაც განიხილებოდა აფხაზეთის რესპუბლიკად გარდაქმნის პროცესი. აღნიშნული საქმიანობის საბოლოო შედეგად გვევლინება, აფხაზეთში, 1925

წლის კონსტიტუციის აღდგენის გადაწყვეტილება, რაც უკვე მიუთითებს იმაზე, რომ აფხაზების მიზანი დამოუკიდებელი მმართველობის დამყარება იყო. ასევე აღსანიშნავია, აფხაზური მხარის მიერ , 1991 წელს მიღებული საარჩევნო კანონის პირობების შეუსრულებლობა. კერძოდ, 1992 წლის 5 მაისს, მხარი არ დაუჭირა, ეთნიკურად ქართველისთვის განკუთვნილ პოზიციაზე, გივი ლომინაძის დანიშვნას (პაპასკირი & კოლექტივი, 2021).

ახლადდამყარებულმა რეჟიმმა, ცალსახად, უარყოფითი როლი ითამაშა ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში. ხელმძღვანელობა ცდილობდა დაემყარებინა კონტროლი მთელი ქვეყნის მასშტაბით და თავისი სამხედრო უპირატესობა ეჩვენებინა აფხაზური მხარისთვის. აღნიშნულისაბოლოოდ, საარჩევნო კანონის დარღვევით, შემდგომში კი, სამხედრო კონფლიქტით დასრულდა. როგორც ვხედავთ, საქართველო კიდევ ერთხელ გამოდის იმ აქტორად, რომელმაც ხელი შეუწყო აფხაზური ნაციონალიზმის გაძლიერებას. კერძოდ, ცენტრში დაწყებული არეულობა, მოედო მთელ საქართველოს და აფხაზურ მხარეს უბიძგა, რომ გადაედგათ უშუალო ნაბიჯები დამოუკიდებლობისკენ. ხელისუფლების ძალადობრივი გზით ცვლილებით, იმ მიღწეულმა შეთანხმებებმა, რომელიც იქამდე იყო გაფორმებული ძალა დაკარგეს. ამდენად, არეულობით „შეშინებულმა“ აფხაზეთმა დაიწყო დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა. სწორედ ამიტომ, საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები და, ზოგადად, საქართველო ძალაუნებურად, გაუაზრებლად შემოდის, როგორც პოლიტიკური აქტორი, რომელმაც ხელი შეუწყო აფხაზური ნაციონალიზმის გაძლიერებას 1990-იან წლებში.

ამდენად, სწორედ ზემოაღნიშნულმა მოვლენებმა: აფხაზეთის ისტორიის განყენებულად განხილვა; „აფხაზური გვარდიის“ შექმნა; მკაფიო კონტრასტი და დაპირისპირება ქართველთან და ქართულთან; ისტორიული ნარატივების ჭიდილი; ქართველის, როგორც მჩაგვრელის როლში გამოყვანა; ქვეყნის პირველი პირის მიერ გაჟღერებული ნარატივი; ხელისუფლების დამხობა; დესტაბილიზაციის პერიოდის დაწყება და კიდევ სხვა ზემოხსენებულმა ფაქტორებმა, აფხაზურ საზოგადოებაში გამოიწვია აფხაზეთის, როგორც ცალკეულ სამშობლოდ განხილვა და მიკუთვნებულობის გრძნობის გამძაფრება ისტორიულ ტერიტორიასთან მიმართებით. ასევე, ერთიანი პოლიტიკური ნების ფორმირება აფხაზურ საზოგადოებაში, რაზეც

აქტიური მუშაობა მიმდინარეობდა მთელს საბჭოთა პერიოდში და რის აქტიურ გამოვლინებადაც შეგვიძლია განვიხილოთ ლიხნის თავყრილობა. ყოველივე ამან გააძლიერა აფხაზური ნაციონალიზმი, რამაც საბოლოოდ მიგვიყვანა „ძმათამკვლელ დაპირისპირებამდე“.

## პოსტკონფლიქტური პერიოდი: მოლაპარაკებების პლატფორმები.

ქართულ-აფხაზური ურთიერთობების პოსტკონფლიქტური პერიოდი, არანაკლები დაძაბულობით ხასიათდება. 1993-1994 წლებში, აფხაზურმა მხარემ განახორციელა ეთნიკურად ქართული მოსახლეობის მასობრივი დევნა, რაც შემდგომში, ქართული და საერთაშორისო საზოგადოების მიერ, შეფასდა როგორც ეთნოწმენდა. აღნიშნულმა ფაქტმა, პირველად აღიარება ჰპოვა ბუდაპეშტის სამიტზე, 1994 წელს. ხოლო შემდგომ -1996 წელს ლისაბონის და სტამბოლის სამიტზე 1999 წელს (Istanbul

ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების პლატფორმები შეგვიძლია მოვიძიოთ წინარე კონფლიქტურ პერიოდშიც. თომა ჩაგელიშვილის მიერ, გადაღებულ დოკუმენტურ ფილმში - „აფხაზური გასეირნება“, ვაწყდებით დავით ბერძენიშვილის ინტერვიუს, რომელიც პირდაპირ იყო ჩართული ამგვარ მოლაპარაკებებში. საუბარი არის ცდილობდა გაერკვია ის, თუ როგორ უნდა მოეწყოს სახელმწიფო. ამ პერიოდში გამოქვეყნდა, ტარას შამბას პროექტი სახელმწიფოს მოწყობის შესახებ, რომელსაც ოფიციალური თბილისი უარყოფითად შეხვდა. თუმცა დავით ბერძენიშვილის თანახმად, ზემოხსენებული პროექტი არ განსხვავდებოდა ძირეულად ქართული ვარიანტისგან და ერთადერთი, რაც იწვევდა განხეთქილებას, ეს იყო პროექტის ბელეტრისტიკა. დავით ბერძენიშვილის თანახმად, შევარდნაძემ დაუშვა „ინტელექტუალური შეცდომა“ (ჩაგელიშვილი, 2002) მაშინ, როდესაც ის არ დათანხმდა ქართული მხარის შეთავაზებას, სახელმწიფო შექმნილიყო ასიმეტრიული რეგიონალიზმის პრინციპზე დაყრდნობით, სადაც ყველაზე დიდი უფლებით წარმოდგენილი იქნებოდა აფხაზეთი. შევარდნაძემ, თავდაპირველად, ეს შეთავაზება უარყო. ბერძენიშვილის აზრით კი, ამ შეთავაზებით, იმ მომენტში (1992 წლის ზაფხულის

პირველი ნახევარი) შესაძლებელი გახდებოდა ქართულ-აფხაზური შეთანხმების მიღწევა. ქართულ-აფხაზურ დიალოგზე საუბრობს ზურაბ პაპასქირიც (პირისპირი ინტერვიუ, 31.05.2023). პაპასკირის თანახმად, აფხაზური შემოთავაზება ეფუძნებოდა თანასწორუფლებიანი ფედერაციის პრინციპს, რომელშიც გაერთიანდებოდა საქართველო და აფხაზეთი. აღნიშნული საქართველოსთვის იყო საფრთხის შემცველი,, რადგან ამგვარი გაერთიანებები ისტორიული გამოცდილებით არასდროს არის მყარი და სტაბილური. ქართული მხრიდან გაკეთებული მაქსიმალური დათმობა, სწორედ რომ აფხაზეთის, როგორც ყველაზე მეტი უფლების მქონე ავტონომიური ოლქის სტატუსით გაფორმება იყო. პაპასქირის მიხედვით, საქართველო აფხაზურ შემოთავაზებას ვერ დათანხმდებოდა და ზემოხსენებულზე მეტ კომპრომისზეც ვერ წავიდოდა. ვინაიდან საქართველოს მოუწევდა ეროვნულ ინტერესებზე გადაბიჯება. იმ პერიოდში, საქართველო თავისი ქმედებებით იცავდა სწორედ ეროვნულ ინტერესებს და მას, „ეროვნული ინტერესების დაცვაში, შეცდომა არ დაუშვია“.

მოლაპარაკებების ფანჯარა არ დახურულა უშუალოდ კონფლიქტის პროცესშიც. დაკავშირებით. შეთანხმების გაფორმების პროცესში, აქტიური „მედიატორის“ როლს ირგებდა რუსული მხარე. სოჭის შეთანხმების შედეგად, ორივე მხარეს დაუყოვნებლივ უნდა შეეწყვიტა ცეცხლი და უნდა მომხდარიყო კონფლიქტური ზონის სრული განიარაღება, შეიარაღებული ჯგუფებისგან დაცლა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სახლში დაბრუნება. ყველაზე მნიშვნელოვანი სოჭის შეთანხმებაში არის ის, რომ შეთანხმების შედეგად, აფხაზეთში ლეგიტიმურად შედიოდნენ რუსი „სამშვიდობო“ ძალები, რომელთაც ევალებოდათ ცეცხლის შეწყვეტის და განიარაღების მეთვალყურეობა. ამასთან ერთად, მათი უსაფრთხოება წინასწარვე დაცული იყო დოკუმენტით (Sochi Agreement; 1993). აღნიშნული შეთანხმებით, ყველაზე დიდი სარგებელი ნახა რუსეთმა, რადგან შეძლო სამხედროების ლეგიტიმურად განთავსება აფხაზეთის ტერიტორიაზე. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ სოჭის შეთანხმება დარღვეული იქნა მალევე, სექტემბერში. აფხაზურმა მხარემ, რუსულ მხარესთან ერთად მიიტანა კოორდინირებული შტურმი განიარაღებულ სოხუმზე. ამდენად, კიდევ უფრო

უხეშად იკვეთება რუსეთის როლი ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში, რადგან რუსული წახალისებითა და მხარდაჭერით, აღნიშნული შეთანხმება მალევე იქნა დარღვეული.

შემდეგი შეთანხმება, რომელიც უნდა განვიხილო, არის ქ.მოსკოვში, 1994 წლის 4 აპრილს გაფორმებული ოთხმხრივი შეთანხმება. მოსკოვის შეთანხმების მიზანი იყო: ცეცხლის შეწყვეტის მკაცრი დაცვა, კონფლიქტის მოგვარებისთვის პოლიტიკური ჩარჩოს შექმნა, უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული საკითხების მოგვარება. მხარეები შეთანხმდნენ, რომ კონფლიქტის გადაჭრის გზა უნდა იყოს მშვიდობიანი და უნდა ეფუძნებოდეს დიალოგს. ჰუმანიტარულ საკითხს რაც შეეხება, შეთანხმების მიხედვით, უნდა მომხდარიყო იძულებით გადაადგილებულ პირთა უსაფრთხო დაბრუნება თავიანთ საცხოვრებლებში. თუმცა, ეს პუნქტი არ ითვალისწინებდა იმ ადამიანებს, ვინც მონაწილეობდნენ სამხედრო მოქმედებებში. ამდენად, ეს მონაკვეთი ქართული მხარისთვის წამგებიანი აღმოჩნდა. კიდევ ერთი პუნქტი, რომელზეც უნდა გამახვილდეს ყურადღება, ამბობს შემდეგს: აფხაზეთს უნდა ჰქონდეს თავისი კონსტიტუცია, მაიდენტიფიცირებელი ნიშნები და სიმბოლოები - ჰიმნი, გერბი, დროშა (Moscow შეთანხმებაში ამგვარი პუნქტის დატოვება, დათმობისადა ეროვნულ ინტერესებთან წინააღმდეგობაში მოსვლის ტოლფასი იყო საქართველოსთვის, რადგან მსგავსი საერთო სიმბოლიკა აძლიერებს ნაციონალიზმს. აღსანიშნავია, 1994 წლის 21 ივნისს, დსთ-ს კოლექტიური სამშვიდობო ძალების განთავსება კონფლიქტის ზონაში. სამშვიდობო ძალებში, რუსეთის პრეზიდენტის ინიციატივით, შედიოდა რუსული სამხედრო ძალებიც. კოლექტიური სამშვიდობო ძალების განთავსებამ, კიდევ უფრო დაძაბა ადგილზე მდგომარეობა, რის შედეგადაც, ქართული მოსახლეობა აქტიურად ითხოვდა კონფლიქტის ზონის დატოვებას.

ქართულ-აფხაზურ დიალოგში, საყურადღებო თარიღი არის 1997 წელი. 1997 წელს, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ევგენი პრიმაკოვის ინიციატივით, შედგა სპონტანური ვიზიტი. მან თბილისში ჩამოიყვანა ვ. არძინბა და შეხვედრა გაიმართა არძინბასა და შევარდნაძეს შორის. შეხვედრის რუსული ინტერესი იყო, რუსეთის პრესტიჟის გაზრდა საერთაშორისო დონეზე. ამასთან ერთად, რუსეთი ამ შეხვედრით ცდილობდა, საქართველოში გავრცელებული ანტირუსული რიტორიკის ჩაცხრომას. შეხვედრას კრიტიკულად შეხვდა ქართული საზოგადოება. კრიტიკა მიმართული იყო

შევარდნაძისკენ. ქართული ელიტისთვის არძინბასთან შეხვედრა მიუღებელი აღმოჩნდა (Шария, 2022). შეხვედრის შედეგად, ღირებული შეთანხმების მიღწევა შეუძლებელი აღმოჩნდა. ერთადერთი რაზეც შეთანხმდა ორივე მხარე იყო შემდეგი: კონფლიქტის ძალისმიერი მეთოდებით მოგვარების დაუშვებლობა - კონფლიქტი უნდა მოგვარებულიყო მშვიდობიანად. თუმცა, ამ შეთანხმებას პოლიტიკური წონა არ ჰქონია, რაზეც მეტყველებს 1 წელიწადში, გალში, განვითარებული მოვლენები. 1998 წლის მაისში, გალში, ეთნიკურად ქართველებსა და აფხაზებს შორის, საომარი მოქმედებები განახლდა, რამაც იძულებით გადაადგილებულთა ახალი ტალღა გააჩინა. ამდენად, როგორც ვხედავთ, ლიდერების შეთანხმებამ არ იმუშავა.

კონფლიქტის აღმოფხვრაზე არ მუშაობდა მხოლოდ რუსეთი. დასავლეთი, ასევე, აქტიურად იყო ჩართული მოლაპარაკებების პროცესში და ცდილობდა, შეექმნა მისაღები პლატფორმები ორივე მხარისათვის. დასავლეთის ინიციატივით, ჟენევაში დაიწყო ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების პროცესი. მოლაპარაკებების პირველი რაუნდი მიმდინარეობდა 1993 წლის ნოემბერ-დეკემბრის პერიოდში. პირველი რაუნდის შედეგად ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს და მიღწეულ იქნა რამდენიმე შეთანხმება. კერძოდ: შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე; ასევე, კონფლიქტის ზონაში უსაფრთხოების დაცვა გახდა გარანტირებული. რამდენიმე საერთაშორისო დამკვირვებლის გააქტიურებით, საყურადღებოა შეთანხმება ტყვეების თაობაზე - მხარეებს, 1993 წლის 20 დეკემბრამდე, პრინციპის, „ყველა ყველასთვის“ დაცვით, უნდა გაეცვალათ ყველა ტყვე. ჟენევის პირველი რაუნდის მოლაპარაკებებზე, აქტიურად იდგა იძულებით გადაადგილებულ პირთა შინ უსაფრთხოდ დაბრუნების საკითხი. აღსანიშნავია, რომ ამ საკითხზე შეთანხმება იქნა მიღწეული. ასევე, დაპირისპირებულმა მხარეებმა გამოხატეს მზაობა მომავალი თანამშრომლობისთვის (Memorandum of ადმინისტრირების საკითხი. ქართული მხარის შეთავაზება იყო - ფედერაციულ საქართველოში შემავალი აფხაზეთი მაღალი ავტონომიით, თუმცა აფხაზური მხარე უარყოფდა ქართულ შემოთავაზებას. მათ არ სურდათ ფედერაციული საქართველოს ნაწილად ყოფნა. სწორედ ამიტომ, ისინი ითხოვდნენ სრულ დამოუკიდებლობას. დამოუკიდებლობის მოთხოვნის საფუძვლად კი, ერის თვითგამორკვევის პრინციპი იყო

დასახელებული. როგორც უკვე ვახსენე, პირველი რაუნდის შედეგად, დაპირისპირებულმა მხარეებმა გამოთქვეს მზაობა მომავალი თანამშრომლობისთვის.

ჟენევის მოლაპარაკებების მეორე რაუნდი გაიმართა 1994 წლის იანვარში. მოლაპარაკებებისას, კიდევ ერთხელ გადაიხედა შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, ასევე, დადებითი გადაწყვეტილება მიიღეს სამშვიდობო ძალების კონფლიქტის ზონაში შეყვანის თაობაზე; დამატებით, სამშვიდობო ძალების გამოჩენიდან 5 დღეში, უნდა მომხდარიყო ორივე მხარის სრული განიარაღება. რაც შეეხება ტერიტორიულ საკითხს, პოზიციები უცვლელი აღმოჩნდა. მხარეებმა კვლავ გამოთქვეს მოლაპარაკებების გაგრძელების მზაობა. ჟენევის მოლაპარაკებების მესამე რაუნდი დაედო საფუძვლად მოსკოვის შეთანხმებას. ტერიტორიულ საკითხთან დაკავშირებით კი, ქართულმა მხარემ აქტიურად დაიწყო აპელირება აფხაზების ხელშეუხებლობისა და მათი უფლებების მაქსიმალურად დაცვის თაობაზე. მიუხედავად ამისა, აფხაზური მხარე კვლავ მტკიცე უარზე დარჩა. მათ ისევ სურდათ აფხაზეთის, როგორც ცალკე, დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღიარება. 1998 წლის გალის ინციდენტმა, ხელახლა გააქტიურა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები, სადაც საუბარი კვლავ ცეცხლის შეწყვეტაზე მიდიოდა. ტერიტორიულ საკითხს, მხარეების მხრიდან დაემატა ინციდენტთან დაკავშირებული პოზიციები. კერძოდ, აფხაზური მხარე, მომხდარში ქართულ, არაოფიციალურ დაჯგუფებებს, „ტყის საძმო“ და „თეთრ ლეგიონს“ ადანაშაულებდა. ქართული მხარე კი, აფხაზებს ადანაშაულებდა ეთნიკურ წმენდაში და იძულებით გადაადგილებულ პირთა ახალი ნაკადის გაჩენაში. ჟენევის მოლაპარაკებების გაგრძელებას წარმოადგენდა 1999 წელს გამართული სტამბოლის სამიტი, სადაც ძირითადი საკითხი იყო დევნილთა შინ დაბრუნების პოლიტიკა, რაც საბოლოოდ წარმატებით ვერ დასრულდა.

დოკუმენტაციებზე საუბრისას, აუცილებლად უნდა გამოვყოთ, კონსტიტუციურ დონეზე საქართველოსა და აფხაზეთის მიდგომა ერთმანეთის მიმართ. საქართველოს წლის კონსტიტუცია, სადაც დაშვებული იყო შემდეგი რამ: აფხაზეთის ტერიტორიაზე, ქართულთან ერთად აფხაზურიც აღიარებული იყო სახელმწიფო ენად. აფხაზეთში მიღებულ კონსტიტუციაში კი, საქართველო და მასთან ურთიერთობები საერთოდ არ ფიგურირებდა (КОНСТИТУЦИЯ РЕСПУБЛИКИ АБХАЗИЯ ; 1994).

ამდენად, როგორც ვხედავთ, 1990-იან წლებში მოლაპარაკებების პროცესი სრულად წარმატებით ვერ განხორციელდა, რადგან შეთანხმებები არ ატარებდა საჭირო პოლიტიკურ ნებას. სწორედ ამიტომ, ხშირად ისინი ირღვეოდა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ შეთანხმებები არ დარღვეულა საქართველოს მხრიდან. აღნიშნული კი, ამცირებს, მის, როგორც პოლიტიკური აქტორის როლს აფხაზური ნაციონალიზმის გაძლიერებაში. თუმცა, მეორეს მხრივ, ნათლად ისახება რუსეთის როლი დასმულ საკითხში.რუსეთის მხარდაჭერით, აფხაზეთი არღვევდა მიღწეულ შეთანხმებებს, რაც კიდევ უფრო ამწვავებდა კონფლიქტს. გამწვავებული კონფლიქტი კი, თავისთავად აძლიერებდა ნაციონალურ შეგრძნებებს აფხაზ მოსახლეობაში. უშუალოდ მოლაპარაკებების პროცესზე თუკი გავამახვილებთ ყურადღებას, აქ იკვეთება შემდეგი: 1. ქართული მხარე, რომელიც იცავს ეროვნულ ინტერესებს და ამასთან ერთად, საკმაოდ კომპრომისულ პოლიტიკას ატარებს მთელი მოლაპარაკებების პროცესში, რაც  გამოხატული არის თუნდაც, ტერიტორიული მოწყობის შეთავაზებებში; 2. აფხაზური მხარე, რომელიც არღვევს შეთანხმებებს და მოლაპარაკებების პროცესში უჭირავს კომპრომისისგან დაცლილი პოლიტიკა, რაც თავისთავად აძლიერებდა აფხაზურ ნაციონალიზმს და 3. რუსული მხარე, რომელიც ცდილობს, რომ მოლაპარაკებების პროცესში შეასრულოს მედიატორის როლი. თუმცა, კონფლიქტის დროს, ის აქტიურად ეხმარებოდა აფხაზურ მხარეს. რუსეთისგან მიღებული მხარდაჭერის იმედად, აფხაზური მხარე არღვევდა მიღწეულ შეთანხმებებს. ასევე, მოლაპარაკებების პროცესში, რუსეთის ინტერესს კონფლიქტის მოგვარებაზე მეტად, გავლენის სფეროს შენარჩუნება წარმოადგენდა. აღნიშნული გამოიხატებოდა  ჯარების ჩაყენებით და მოსკოვის ხელშეკრულებით მაშინ, როდესაც აფხაზეთს უნდა ჰქონოდა თავისი მაიდენტიფიცირებელი სიმბოლიკა და კონსტიტუცია. ამდენად, ნათლად ჩანს, რომ რუსული ზეგავლენა ყველაზე დიდია აფხაზური ნაციონალიზმის გაძლიერების პროცესში.

აღსანიშნავია, რომ აფხაზური კონსტიტუცია შეიმუშავეს 1994 წელს, ხოლო რეფერენდუმი აფხაზეთის დამოუკიდებლობის შესახებ ჩატარდა 1999 წელს. გავრცელებული აზრის თანახმად, ეს პერიოდი მიიჩნევა იმ „ოქროს“ პერიოდად, როდესაც ქართულ მხარეს ჰქონდა ყველაზე დიდი შესაძლებლობა, რომ შეთანხმება მიეღწია აფხაზურ მხარესთან. მიჩნეულია, რომ აფხაზური მხარე „ელოდებოდა“

ქართული მხარისგან წამოსულ ინიციატივებს (პირისპირ ინტერვიუ 31.05.2023). ამ ფანჯრის გამოუყენებლობისთვის ხშირად ადანაშაულებენ ქართულ მხარეს, თუმცა მოლაპარაკებების შესწავლის შემდეგ, შემიძლია ვთქვა, რომ ქართული პოლიტიკა იყო კომპრომისული და ის ემსახურებოდა ეროვნული-ინტერესების დაცვას. აფხაზური პოლიტიკა კი, საპირისპიროდ, იყო უკომპრომისო. მთელი ამ მოლაპარაკებების პროცესის განმავლობაში, საქართველო აფხაზეთს სთავაზობდა ფედერაციულ საქართველოში გაერთიანებას. შემდგომში ამას დაემატა ასიმეტრიული რეგიონალიზმის პრინციპი და აფხაზების უფლებების დაცვის გარანტიები. თუმცა აფხაზური მხარე ურყევად იდგა დამოუკიდებლობის და ცალკე გამოყოფის პოზიციაზე.

## მონაწილე მხარეების თვალით დანახული მოვლენები და პრობლემის მოგვარების პროექტები

იან წლებში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების მიღმა, აუცილებლად უნდა გამოვყოთ, თუ როგორ აღიქმება განვითარებული მოვლენები, ქართული და აფხაზური მხრიდან. დავიწყოთ მოვლენების წარმოდგენა ქართული მხარის თვალთახედვიდან. საქართველო, აფხაზეთს აღიქვამს და ყოველთვის აღიქვამდა თავისი ტერიტორიების განუყოფელ ნაწილად. შესაბამისად, აფხაზეთის „გათავისუფლება“, ქართული მხარისთვის სრული აბსურდია. ქართული მხარის მტკიცებით, აფხაზეთი არის საქართველოს ისტორიული მხარე, რომელიც მას ეკუთვნის. აფხაზეთში გაჩენილი „განმათავისუფლებელი“ მოძრაობა კი, არის გარე მხრიდან (რუსეთი) განხორციელებული მანიპულაციების შედეგი. აღსანიშნავია, რომ ქართულ ცნობიერებაში მოცემული კონფლიქტი დალექილია, როგორც ქვეყნის ერთიანობისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლა. სწორედ ამიტომ, მოცემული კონფლიქტის გადაჭრის გზა ქართული მხარისთვის, მხოლოდ აფხაზეთის დაბრუნებით არის შესაძლებელი (Nodia, 1999). რაც შეეხება აფხაზეთს, მისი მხრიდან, მოცემული კონფლიქტი აღქმულია, როგორც ბრძოლა გადარჩენისთვის და საკუთარი კულტურის დაცვისთვის. აფხაზების აზრით, მათი ქმედებები უკავშირდება თვითგამორკვევის პრინციპს, რომელიც ჯერ კიდევ საბჭოთა პოლიტიკის დროს, აფხაზთა შევიწროებით დაიწყო. აღსანიშნავია, რომ ისტორიულ კონტექსტში, აფხაზები მოვლენებს სხვაგვარად უყურებენ, ისინი განყენებულად განიხილავენ აფხაზურ კულტურას, ქართული

კულტურისგან. სწორედ ამიტომ, თავისი კულტურის და დამოუკიდებლობის დასაცავად, აფხაზეთისთვის საქართველოსგან გამოყოფა იყო სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი (Kvarchelia, 1999).

პრობლემის მოგვარების პროექტებიდან შეგვიძლია გამოვყოთ, აფხაზური პროექტი და ქართული პროექტი. აფხაზური პროექტი ეფუძნებოდა ტარას შამბას პროექტს, რომელიც საქართველოს და აფხაზეთს ერთ სახელმწიფოში, ოღონდ ერთმანეთისგან განყენებულად განიხილავდა. საერთო სახელმწიფოს ექნებოდა თავისი ჰიმნი, დროშა, გერბი, ეყოლებოდა პროპორციულად დაკომპლექტებული პარლამენტი, ის დაეფუძნებოდა ჩაურევლობის პრინციპს, თუმცა ექნებოდა სხვადასხვა საერთო გადაკვეთის წერტილები. აღნიშნულ პროექტს უარყოფითად შეხვდა საქართველო და საპასუხოდ, პრობლემის გადაჭრის ქართული გეგმა შეიმუშავა, რომლის თანახმადაც, ფედერაციული მოწყობის საქართველოში შესვლასთან ერთად, პროექტი ითვალისწინებდა ცალკეული პუნქტების შესრულებას. აღნიშნული ძირშივე ეწინააღმდეგებოდა აფხაზურ მოთხოვნებს. მაგალითად: აფხაზეთის მმართველი სტრუქტურების თვითლიკვიდაცია (მაცაბერიძე მ. 2019). აქედან გამომდინარე, შეთანხმების მიღწევა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შეუძლებელი გახდა.

# დასკვნა

აღნიშნული ნაშრომის მიზანი იყო იმ ფაქტორების შესწავლა, რამაც ხელი შეუწყო აფხაზური ნაციონალიზმის გაძლიერებას 1990-იან წლებში. აღნიშნული მიზნის მიღწევას დასჭირდა დარგის ექსპერტთან სიღრმისეული ინტერვიუს ჩატარება, ასევე, წინარე კონფლიქტური და პოსტკონფლიქტური პერიოდების ანალიზი. ამასთან ერთად, პოსტკონფლიქტურ პერიოდში გაფორმებული დოკუმენტაციის, შეთანხმებების და მოლაპარაკების პლატფორმების ანალიზი.

კვლევის პროცესში გამოიკვეთა რამდენიმე ფაქტორი, რამაც გააძლიერა აფხაზური ნაციონალიზმი. პირველ რიგში, ეს არის საგარეო, კერძოდ, ჯერ საბჭოთა და შემდგომში რუსეთის მხრიდან გატარებული მხარდაჭერითი პოლიტიკა სეპარატისტების მიმართ. აღნიშნული, წინარე კონფლიქტურ პერიოდში გამოიხატა, აფხაზური ისტორიული ნარატივის გაღვივებით და აფხაზური მხარის მხრიდან წამოსული პროტესტის - შემდგომში კი, ისტორიის განსხვავებული ვარიანტის გავრცელების მხარდაჭერაში, ასევე, უშუალოდ, კონფლიქტის დროს სამხედრო მხარდაჭერითა და კონფლიქტის შემდგომ პერიოდში, შეთანხმებების დარღვევის წახალისებით. ამდენად, კვლევის დასაწყისში გამოხატული ჰიპოთეზა, რუსული პოლიტიკის როლის მნიშვნელოვნებაზე გამართლდა, თუმცა არ გამართლებულა ჰიპოთეზა ქართული პოლიტიკის შესახებ. ქართულმა მხარემ ძალაუნებურად ითამაშა გარკვეული როლი აფხაზური ნაციონალიზმის გაძლიერებაში. ქართული მხარე, არ განიცდიდა კომპრომისით სავსე პოლიტიკის ნაკლებობას. აფხაზურ შემოთავაზებაზე დათანხმება კი, ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ წასვლის ტოლფასი გახდებოდა ქართული მხარისთვის. მოლაპარაკებების პლატფორმები იყო შექმნილი, როგორც დასავლეთის ისე რუსეთის მხრიდან. მიუხედავად ამისა, ისეთი შეთანხმების მიღწევა, რომელიც სრულად იქნებოდა დაცული შეუძლებელი აღმოჩნდა. აღნიშნულის მიზეზი კი, სეპარატისტული რეჟიმის მიმართ ისეთი ძლიერი სახელმწიფოს მხარდაჭერაა, როგორიც არის რუსეთი. ამდენად, შეგვიძლია განყენებულად გამოვყოთ რამდენიმე ფაქტორი, რამაც 1990-იან წლებში, საბოლოოდ გააძლიერა აფხაზური ნაციონალიზმი. ესენია: 1. ყველაზე დიდი ფაქტორი - რუსეთის/საბჭოთა კავშირის მხრიდან გატარებული პოლიტიკა და მხარდაჭერა

აფხაზეთის მიმართ, რომელიც პირდაპირ ისახავდა მიზნად აფხაზური ნაციონალიზმის გაძლიერებას; 2. აფხაზური ელიტების მხრიდან გავრცელებული ისტორიული ნარატივი და 3. საქართველოში დაწყებული დესტაბილიზაციისა და არეულობის პერიოდი, რომელიც გადატრიალების შედეგად დადგა.

ნაშრომის თეორიულ ჩარჩოდ შერჩეული იყო ნაციონალური იდენტობის სმითისეული თეორია, რომლის მიხედვითაც, გამოყოფილი „ნაციონალური იდენტობის" შემადგენელი ელემენტების გაძლიერება საბოლოოდ შობს ნაციონალიზმს. აფხაზური ქეისის შესწავლის შედეგად, ენტონი სმითის თეორია მოერგო ქართულ რეალობასაც. სწორედ ჩამოთვლილი ელემენტების გაძლიერებას ემსახურებოდა, ჯერ საბჭოთა კავშირის დროს გატარებული პოლიტიკა და შემდგომში, რუსეთის დროს გატარებული პოლიტიკა. აღსანიშნავია, რომ თუკი წინარე კონფლიქტურ პერიოდში, ისტორიული ნარატივების დაპირისპირებით აქტიურად ძლიერდებოდა ისეთი კომპონენტები როგორიცაა: 1. ისტორიული ტერიტორია ანუ სამშობლო; 2. ერთიანი პოლიტიკური ნება და ისტორიული მეხსიერება; 3. საერთო საზოგადოებრივი კულტურა, პოსტკონფლიქტურ პერიოდში, შესაბამისი სახელმწიფო დონის დოკუმენტაციების მიღების შემდეგ გაძლიერება დაიწყო დარჩენილმა კომპონენტებმაც, როგორიცაა 4. ყველა წევრისათვის საერთო სამართლებრივი უფლება - მოვალეობა; 5. საერთო ეკონომიკა მისი წევრებისთვის.

აღნიშნული ნაშრომი გამორჩეულია იმით, რომ ფოკუსი ნაშრომში მიტანილია უშუალოდ 1990-იან წლებზე. ამ პერიოდში გამართულ მოლაპარაკებებზე და ურთიერთობებზე, იმაზე თუ როგორ შეძლო მოლაპარაკებებმა დაძაბული ურთიერთობების განმუხტვა და რა თავისებურებებით ხასიათდებოდა აღნიშნულ პერიოდში აფხაზური ნაციონალიზმის გაძლიერება.

# გამოყენებული ლიტერატურა

London: Conciliation Resources.

*https://matsne.gov.ge*. (n.d.). Retrieved from https://matsne.gov.ge: https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36

Kvarchelia, L. (1999). *The Georgia-Abkhazia peace process.* London: Concilliation Resources.

Nodia, G. (1999). *The Georgia-Abkhazia peace process.* London: Conciliation Resources.

Rfl. (2008, August 26). *https://www.rferl.org*. Retrieved from https://www.rferl.org: https://www.rferl.org/a/Russia_Recognizes_Abkhazia_South_Ossetia/1193932.html

Папаскири, З. (2012). *МОЯ АБХАЗИЯ Воспоминания и размышления* . Тбилиси: Издательство «Меридиани».

Ш

ანდერსონი, ბ. (2003). *წარმოსახვითი საზოგადოებანი: მოსაზრებები ნაციონალიზმის წარმოშობისა და გავრცელების შესახებ.* თბილისი: "ენა და კულტურა".

გელნერი, ე. (2003). *ერები და ნაციონალიზმი.* თბილისი: "ნეკერი".

ეფაძე, ქ. (2022). *ქართული და აფხაზური იდენტობების ფორმირება სტალინურ და პოსტ-სტალინურ საქართველოში (1950-1970-იანი წლები).* თბილისი.

ლეველენი, ტ. (2017). *პოლიტიკური ანთროპოლოგია შესავალი.* თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

მაცაბერიძე, დ. (2014). *„კონფლიქტი აფხაზეთის რეგიონში: ქართული და აფხაზური ნაციონალიზმების დაპირისპირება 1989-2012 წლებში“.* თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

მაცაბერიძე, მ. (2019). *საქართველოს პოლიტიკური სისტემა.* თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა.

პაპასკირი, ზ., & კოლექტივი, ა. (2021). *აფხაზეთი საქართველოა ისტორიული რაკურსი.* თბილისი 2021: შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი.

სმიტი, ე. (2008). *ნაციონალური იდენტობა.* თბილისი: ლოგოს პრესი.

ჩაგელიშვილი, თ. (Director). (2002). *აფხაზური გასეირნება* [Motion Picture].

ჩხაიძე, ი. (2016). *ეთნიკურიდან სამოქალაქო ნაციონალიზმისკენ: ნაციონალური პროექტის დინამიკა პოსტსაბჭოთა საქართველოში.* თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ჰეივუდი, ე. (2004). *პოლიტიკური იდეოლოგიები.* თბილისი: ლოგოს პრესი.

## დანართი

სიღრმისეული ინტერვიუს გზამკვლევი

როგორ ფიქრობთ, რა თავისებურებები გააჩნდა აფხაზური ნაციონალიზმის გაძლიერებას 1990-იან წლებში?

2

.

რომელ ძირითად პოლიტიკურ აქტორებს გამოყოფთ აფხაზური ნაციონალიზმის გაძლიერების პროცესში?

თქვენი აზრით რა როლი ითამაშა რუსეთმა აფხაზური ნაციონალიზმის გაძლიერებაში?

თქვენი აზრით რა როლი ითამაშა საქართველომ აფხაზური ნაციონალიზმის გაძლიერებაში?

რამდენად კომპრომისული იყო საქართველოს პოლიტიკა 1990-იან წლებში?

რა მიგაჩნიათ ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების წარუმატებლობის ძირითად გამომწვევ მიზეზებად?

როგორ ფიქრობთ, რა უნდა გაეკეთებინა სხვანაირად ორივე მხარეს შეთანხმების მისაღწევად?

სად ხედავთ საერთო გადაკვეთის წერტილებს, რაზეც შესაძლებელი გახდებოდა შეთანხმების მიღწევა ორივე მხარეს შორის?

რაიმეს ხომ არ დაამატებდით?